თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7490489

ნომერი: AR11091522

თარიღი : 16.05.2025

გაცემის თარიღი : 27.05.2025

გაცნობის თარიღი : 28.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 16 მაისს №AR11091522 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 16 მაისის

№7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებით №01.17.12.003.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №17) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ბრძანებაში ღია ავტოსადგომების რაოდენობად 24-ის ნაცვლად 7-ის, ხოლო ღია ავტოსადგომის ფართობად 349.4 კვ.მ-ის ნაცვლად 104.8 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს დაადგინა, რომ საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის (სახლი №17) გათვალისწინებულია 7 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით 104.8 კვ.მ. შესაბამისად, შესაძლებელია ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ღია ავტოსადგომის რაოდენობასა და ფართობთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებაში და პირველი პუნქტი და მომდევნო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №13-ში მდებარე №01.17.12.003.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №17) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

- საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 104.8 კვ.მ., ხოლო ღია ავტოსადგომების რაოდენობად - 7.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481540 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.